29
1919

ალი

ეროვნული

პარასკევი,
თებერვლის 14.
(იანვარის 31).
1919 წელი.

№ 32.

ფასი 50 კაპ.

დამოუკიდებელი ნაციონალური
პოლიტიკის ორგანო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი ნომერო! ნომერო ბენშევიკურო!

ნომერო ინტერნაციონალობისა, შენ მოჭამე შენი დრო!

მეორე ნომერო! ნომერო ნელ-ობილი „დემოკრატიისა"!

ნომერო მონოპოლისტ—სპეკულიანტებისა, შენი დრო არ დადგება!

მოგდიგარ მე, **მერვე ნომერი!**

ნომერი ქართველი მეურნისა—

მიწის მესაკუთრისა! ნომერი

ქართველი ნაციონალისტებისა!

და ვარ მაგარი ისე, როგორც

„სალი კლდე"!

მერიდეთ!

თფილისი, თებერვლის 14

ეროვნული პარტია.

მეხუთე წელიწადია საქართველოში განსხეულებულია ეროვნული პოლიტიკა.

მეხუთე წელიწადია ქართველ ერის დიდმა ნაწილმა შეიგნო, რომ საქართველოს კულტურული აღორძინება მხოლოდ ეროვნულ-ისტორიულ გზის ვითარებით შეიძლება.

ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის თითქმის მთელი საუკუნის პოლიტიკურ-კულტურული იდეალი ორგანიულათ ჩამოყალიბდა და დაარსდა საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის მუშაობაში უნდა განხორციელებულიყო იდეალი ქართველ ერის იმ სახით, რა სახითაც ეს იდეალი არსებობდა ქართველ ნაციონალისტების წარმოდგენაში, როგორც საქართველოში ისე სიზღვარ-გარეთაც.

მსოფლიო ომმა ამ იდეალს მისცა ღრმად საგრძნობი ხასიათი და იდეოლოგიური ოცნება ქართველ ნაციონალისტების შეიქნა სინამდვილე.

საერთო რღვევისა და ნგრევის პროცესში დაილუპა დიდი რუსეთის სახელმწიფო და იშვა თავისუფალი საქართველო. ქართველ ნაციონალისტებს გზა გაესსნათ, გზა თავისუფალი მუშაობისა და ეროვნული პოლიტიკის წარმოების ბოლომდის, მაგრამ სამწუხარ.ოდ ჩვეულებას დიდი ძალა აქვს და ზოგიერთს ქართველ ნაციონალისტს (ყოფილ სოციალისტს) მოაგონდა თავის სოციალისტური წარსულის ორგანიული მირთხმეულება.

ამნაირად დაირღვა იდეოლოგიური მთლიანობა ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულების პირველად გაზეთ „საქართველო"-ს ფურცლებზე და ის ჯგუფი ნაციონალისტების, რომელიც მუდამ გულწრფელად და მედგრად იცავდა თავის პროგრამას და ქართველი ერის ინტერესებს იძულებული შეიქნა გამოყოფოდა „საქართველოელების" ჯგუფს, რომ ძველებურათ ეწარმოებია მას ეროვნული პოლიტიკა, რომ დაეცვა იდეოლოგიური სისუფთავე და ლოგიკურად გაეგრძელებია პარტიული ტრადიცია.

ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ეროვნული დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი გაასწორებდა თავის შეცდომას და განხეთქილება დამთავრდებოდა შეთანხმებით მაგრამ შეთანხმება არ მოისურვა „საქართველოს" ჯგუფმა. მან უღალატა ქართველ ერს და ეროვნულ პოლიტიკას მისცა წმინდა ჯგუფური ხასიათი

მან ამიერ კავკასიის სეიმს ბონებით გამდიდრებულ სპეკულიანტებს და „ოტელების" პატრონებს ჩააბარა საქართველოს ეროვნული პოლიტიკა.

მან დაივიწყა პარტიული იდეალი და ტრადიცია ეროვნულ-ისტორიული.

ჩვენ არ ვიცით, შეიძლება ეს დავიწყება პარტიული იდეალისა და ტრადიციისა ერთგვარი გულუბრყვილობის შედეგი იყოს. შეიძლება გაზ. „საქართველო" გაზ. „ერთობას" მხარს უჭერს აგრარულ საკითში იმიტომ, რომ მას მართლა სჯერა, რომ სოც. დემოკრატებს დაავიწყდათ სოციალიზმი.

ჩვენ ეგრე არ ვფიქრობთ. ასეთს ქანაობას ჩვენ ვერ გავუგებით, რადგან ჩვენ კარგათ ვიცით, რომ სოც. დემოკრატების „ნაციონალიზმი" სიტუაციურია და არა პრინციპიალური: დღეს სოციალ დემოკრატები წააგავენ კრილოვის მგელს, რომელიც მეცხვარეებს ძმობას და ერთგულებას პირდებოდა, რადგან იძულებული იყო მგლური ინსტიკტი ძმობის და სიყვარულის სიტყვების ქვეშ დაემალა.

ჩვენ უკეთესი წარმოდგენა გვაქვს სოციალ-დემოკრატებზე, ჩვენ ვიცნობთ მათ და დარწმუნებული ვართ, რომ სოციალიზმი არასოდეს არ დაავიწყდებათ და თუ დღეს ისინი ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებენ", თუ სოციალიზმის იდეას უმორჩილებენ თავისებურად, იეზუიტურად კერძო საკუთრებას მხოლოდ იმიტომ, რომ ამას „მოითხოვს" „მარქსიზმის დიალეკტიკა", ისტორიული აუცილებლობა და სამინისტროს სავარძელი.

საკმარისია ცოტათ შეიცვალოს მდგომარეობა და სოციალ-დემოკრატებიც სხვა ნაირათ ამღერდებია, სულ სხვას იტყვიან იმიტომ, რომ მარქსისტების სახარებაში სწერია: მდგომარეობა ჰქმნის შეგნებასო.

ჩვენ ნაციონალისტები ეგრე არ ვფიქრობთ ჩვენზე ვერ მოქმედობს მარქსის აფორიზმების გრძნეულება: ჩვენ მაშინაც, როდესაც ჩვენი მდგომარეობა სხვანაირი იყო, ეგრე ვფიქრობდით, როგორც დღეს ვფიქრობთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იდეა ორგანიულად შობილი ისტორიული ხვეულებში არის ძალა შემომქმედი და რეალური;

თუ საქართველოს სოც.-დემ. შესძლო პროლეტარების იდეალის გავრცელება ისეთ ქვეყანაში, სადაც ასი პროლეტარი არ აირის—ქართველი ნაციონალისტების წმინდა ეროვნული პოლიტიკა მით უფრო მიზანშეწონილია, რადგან ამ პოლიტიკაში ისახება უმეშველო კავშირი ქართველ ინტელიგენციისა და საქართველოს შორის, რადგან აქ ჩვენ ორგინალად უახლოვდებით ქართველ ერის ინტერესებს. ჩვენს პარტიაში ადგილი აქვს, როგორც ვაჭარს ისე გლეხს, როგორც თავადს და აზნაურს ისე მრეწველს და მექარხნეს.

ჩვენ არ გვსურს სახელმწიფოში არც ერთი ჯგუფის გაბატონება: ჩვენი იდეალია სრული მოქალაქობრივი თანასწორობა მეურნეობის ინტენსიფობით დაცვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი თავისუფალია. როგორც მოქალაქე სახელმწიფოს კონსტიტუციის საზღვრებში და მას აქვს საშუალება კერძო საკუთრების შეძენის და წარმოების თავის სურვილისა და შემოქმედებისამებრ. ჩვენი პარტია დამოუკიდებელია: იგი არ ემსახურება არც ერთს კლასს და ჯგუფს კერძოთ. იგი ემსახურება საქართველოს მთლიანს და ზეკლასიურს, საქართველოს ისტორიულად და ეროვნულ კულტურულად განახლებულს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოს შეუძლიან არსებობა მხოლოდ მაშინ, როდესაც სრული სოლიდარობაა კლასთა შორის. პოლიტიკური პარტია, რომელიც გამოდის რომელიმე კლასისს ინტერესების დამცველათ, ვერ შექმნის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, რადგან სახელმწიფო არის მხოლოდ ეროვნულ მთლიანობის იურიდიული განმტკიცება: სახელმწიფომ რომ იარსებოს, საჭიროა უსათუოდ კლასთა შორის ბრძოლის შესუსტება, თუ კი მართლა ბრძოლა არსებობს, და ეროვნულ სოლიდარობის შექმნა

ამას შესძლებს მხოლოდ ის პარტია, რომელიც აწარმოებს დამოუკიდებელი ეროვნულ პოლიტიკას: ეს არის საქართველოს ეროვნული პარტია.

ქართველ ერს

მოსპეთ ისტორია ერთა არსებობისა და კაცობრიობას დარჩება წყვდიადით მოცული სივრცე მშრალი აზროვნებისათვის. კაცობრიობის, ანუ კაკლე ერთა ხანგრძლივს ცხოვრებაში თითქმის ყოველთვის მეორდება საუკუნეებით დასამარებული ისტორია, მეორდება უფრო მწვავეთ, უფრო ხანგრძლივათ.

და ვაი იმ ერს, რომელიც ამას ივიწყებს!

ჯვაროსანთა ომები უფრო ახალ საუკუნეს ეკუთვნის. კაცობრიობამ იცის უფრო ულმობელი ხანგრძლივი ომები, მომსპობი და გამანადგურებელი დიდ და კულტურულ ოსან იმპერიებისა. კაცობრიობამ იცის ქრისტეს წინათაც, უძველეს დროის საძმათაშორისო სისხლის ღვრა, ამ სიტყვის ნამდვილის მნიშვნელობით, ყველა ეს ხდება უფლებისა და ტახტის შესანარჩუნებლათ ან მის მოსაპოვებლად.

განა გირკან მეორე და არისტიკულ მეორე ღვიძლი ძმები არ იყვნენ, რომ იერიქონთან იმოდენა სისხლი დაჰღვარეს უფლებისა და ტახტისათვის და განა ამ ძმათა ქიშპობამ არ შეხძინა პომპეის ის ძალა, რომლითაც მან იერუსალიმი დაიმორჩილა? მართალია, იულიოს კეისარმა ეს არ შეარჩინა თავის წინანდელ მოკავშირე პომპეის, მაგრამ შინაურმა დანაწილებამ და პარტიობამ ისე გაამწვავა მდგომარეობა, რომ საქმეში ძლიერი რომი ჩაერია და ურიასტანი გარეშე ძალთა საჯიჯგნად გახდა.

ჩვენ ვიცით როგორ დასტირის ებრაელთ ერი თავის წარსულს დიდებას, კაცობრიობის კულტურის ფუძეს—ურიასტანს!

და ეს ქმნა ერთა დანაწილებამ, პარტიებად დაყოფამ.

თუ ჩვენ ჩავუკვირდებით დღევანდელ მდგომარეობას, თუ ერთ წუთს მაინც გულწრფელნი ვიქნებით, საშინელი სურათი გადაიშლება ჩვენს თვალ წინ!

საქართველო უფსკრულის ნაპირას სდგას!

ნურავინ მოიტყუებს, თავს „რუსეთის რევოლიუციით მონაპოვრთა“ სიმტკიცით!

ჩვენ ჯერ არც თავისუფლება გვაქვს, არც სახელმწიფოთა შორის სახელმწიფოდ ვართ ცნობილი!

ვინ მოგვცა თავისუფლება?

რუსეთის „რევოლიუციამ“.

არა და არა!

ჩვენ მოვყევით რუსეთის გალეშილ ბრბოთა ვაკხანალიაში; ჩვენთვის არავის ეცალა და ჩვენც, იმის მაგიერათ, რომ ამ ვაკხანალიით გონიერათ გვესარგებლნა ად მთელი საქართველო რვალათ შეგვედუღებინა, საქართველოს მთლიანობაზე გვეზრუნა, —ურცხვათ გავიძახოდით რუსეთის რევოლიუციით ჩვენს გამარჯვებაზე!

თუ საქმიანობას ვიჩენდით რასმე, ეს იყოს სხვებისთვის ზრუნვა იმ დროს, როცა საქართველო დამშეული იყო და ის ბრძნული ანდაზა: შინ რომ შვილები შიმშილით გიწყდებოდეს გარეთ ტაბლას რა ხელი გაქვსო, ერთხელაც არ მოგვგონებია.

სირცხვილი ჩვენ, უსუსურ მკვეხარათ და მატრაბაზთ!

განა საქართველო საქართველოა და არის, როცა მას ფიქრის უნარიც კი აღარ შესწევს, როცა ის ცხოვრობს დღეით და არა ხვალით?

ძველმა საქართველომ იცოდა ხვალისთვის ზრუნვა, ახალი საქართველო კი იმდენათ ზრუნავს ხვალისთვის, რამდენადაც ეს საარჩევნო ხმის რაოდენობის, ან უფლების მოპოვებას შეეხება.

მტერს არა სძინავს, იგი სალტედ ერტყმის საქართველოს, რომლის მომაკვდინებელ სამსალას სადღაც ვიღაცის ბოროტ და თან გამოცდილ ხელს ამზადებს!

როგორი მართალი იყო დიდი მოძღვარი, როცა გაბრაზებით წამოიძახა. „ფუ-რთხის ღირსი ხარ შენ. საქართველოო!

მე მეტის თქმაც მინდა, მაგრამ ჯერ კიდევ მთლად არ აღმოფხვრილა ჩემის გულიდან ის წმინდა გრძნობა, რომლითაც ვალმერთებდი ჩემს სამშობლოს, წამებულს, დამონებულს, მაგრამ პატიოსანს, რაინდულს!

ეს იყო და აღარ არის!

საქართველო დღეს აღარც პატიოსანია, აღარც რაინდული! იგი დაქსაქსული ბრბოთა საქულბაქოა, საცა ყველას თავისი ძონძები გამოუტანია და ურცხვათ გაჰკივის მის უპირატესობას.

როდემდის უნდა იხეტიალოს ქართველმა ერმა ამ აღვირწახსნილ ბრბოთა საქულბაქოზე? ნუთუ მანამდე, ვიდრე აქ, ჩვენს სახლში არ შემოანათებს მტრის ულმობელი მახვილი, ვიდრე ჩვენი საკუთარი კერა არ აფორიაქდება?

მაშინ გვიან იქნება! მაშინ ამაოდ გაიწვდის ხელს ქართველი ერი მისი მთლიანობის გამთიშველებისაკენ, ამაოთ დავუწყებთ ძებნას მშვიდობიანობის დროის ტრიბუნებს, იგინი ჩვენ გვიღალატებენ!

ომის ცეცხლი გაჩაღდა ჩვენს გარშემო!

უფსკრულის ნაპირას სდგას საქართველო!

და მხოლოდ ერის გაერთიანებას შეუძლია მისი ხსნა!

ჯარნო და ჯამაათნო, ისმინეთ!..

შემოკრბით ეროვნულ პარტიის გარშემო!

გ—ლი.

ქალაგს
მოწოდება.

შვილებო, შვილი-შვილებო, დებო და რძლებო!

სადა ხართ, სადა? რატომ არ ისმის ხმა თქვენი ტკბილი? რატომ არ გრგვინავს რატომ არ ჰყივის, მაშინ როდესაც ქართული მოიცვა უბედურებამ?

სოციალიზმმა ტყავი გააძრო, მოსპო წოდება ნაამაგდარი, რომელმაც შეჰმნა ქართლის ბედი, კულტურა დიდი, ენა წყლიანი, ააგო კოშკნი, ციხე-დარბაზნი, შეჰქმნა გმირთ-გმირნი სახელოვანნი.

შენ მოგწონს ესა? და თუ არ მოგწონს რატომ არ ჰყვირი, რატომ არა ჰგმობ ამისა ჩამდენს?

სოციალიზმმა ხალხი გარყვნა, გააველურა, წაართვა იმას ის სამკაული, რაც შეადგენდა ქართველი კაცის ღირსებას, იერს: სიდარბაისლე, ზრდილობა, ხათრიანობა, შრომის უნარი და გარდააქცია ურცხვ კინტოდ, მხეცად, კაცის მტერად, მტაცებლად, ქურდად.

ამის მნახველი შენ ჩუმადა ხარ? ხმას არ იმაღლებ?

სოციალიზმმა ქვეყნის დასაპყრობად ბრბო შეისყიდა სხვის წანართმევით, ქრთამი გაიღო მილიონებით „მუშათა“ ლეგიონების დასაქირავებლად და ეს ურდო უძღები, ხოჯი თავზედ დაასვა ქვეყნიერებას, რათა წალახოს წესი და რიგი და გაამეფოს მან ანარქია.

მოგწონს ესენი?

და თუ არ მოგწონს, სული გიღელავს და გული გიდუღს, რატომ არ ომობ, რატომ არ ჰყვირი, რატომ არა ჰგმობ?

რატომ არ ეტყვი, არ ჩააგონებ შენ შვილებს ქმრებს და ძმებს რომ კვლა, ტაცება, ყაჩაღობა, მექრთამეობა საზიზღარია, რა სახელითაც უნდა სწარმოებდეს ეს უზნეობა?

რატომ არ ეტყვი ხალხს შეუგნებელს, რომ მხოლოდ სწავლა, სწავლა და სწავლა არის გზა სიმართლისა და უსწავლელსა, როგორც ბავშსა, ვინ მისცემს დანას?

სოციალიზმი ხომ ხანჯალია უგუნურთ ხელში და მის მიმცემი ატყუებს ხალხსა და ნუ სტყუვდება, სოციალისტებს ნუ აძლევს ხმასა?!

ეკ. გაბაშვილი.

საქართველოს ამბები.

ახალციხე და აწყური, რომელიც ჩვენმა ჯარმა დასტოვა აჯანყებულ მაჰმადიანთა ხელშია.

დენიკინის ჯარმა გაგრი დაიკავა და მდინარე ბზიბაზე გაჩერდა; ეხლა მოლაპარაკება სწარმოებს.

მთავრობისა და პარლამენტის ფრაქციების თათბირმა გადაწყვიტა გამოცხადდეს მობილიზაცია 24, 25, 26 და 27 წლის სასალდათოთა თფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში.

პარლამენტი სამშაბათს შეიკრიფება.

თფილისში მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვა ნიშნად დემონსტრაციისა უკანასკნელ ამბების გამო.

დახმარება მოკლულ გვარდიელთა ოჯახებს.

ქალაქის გამგეობამ ას-ასი თუმანი მისცა ფრონტზე მოკლულ ნ გვარდიელის ოჯახს.

ქალაქის თვითმართველობის ნაციონალიზაცია.

ქალაქის გამგეობის ნაციონალიზაციის გამო დაითხოვეს ქალაქის იურის კონსულტი ი. ამირხანოვი ერთი წლის ჯამაგირის მიღებით.

ერობათა ყრილობა.

თებერვლის 21 სამაზრო ერობის ბინაზე, რუსთაველის პროსპ. № 6, გაიხსნება საქართველოს ერობათა წარმომადგენლების ყრილობა.

კათალიკოს ლეონიდე

თანახმად 1917 წლის სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების კათალიკოს-პატრიარქის არჩევნების შედეგებისა და საკათალიკოსო და საეპარქიო საბჭოთა განჩინებათა თფილელი მიტროპოლიტი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი ამა წლის თებერვლის 23 აყვანილ იქნება მცხეთის სვეტი-ცხოველის ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ხარისგზე.

პარლამენტის მოწვევის საკითხი.

ჩვენი პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წინადადებაზე შესახებ პარლამენტის საგანგებო სხდომის დანიშვნისა მსჯელობა ჰქონდა პარლამენტის პრეზიდიუმს, რომელმაც ეს საკითხი საბოლოოდ გადასაჭრელად გადასცა ფრაქციათა თათბირს; ფრაქციათა კრება მოხდა გუშინ წინ საღამოს, ჩვენი ფრაქციის წარმომადგენლებმა ვეშაპელმა და ვაჩნაძემ მოითხოვეს დაუყონებლივი მოწვევა პარლამენტისა და ეხლავე ზომების მიღება, რომ პროვინციაში მყოფი დეპუტატები თფილისში დაბრუნდნენ; კამათის შემდეგ ... ემხრო თითქმის მთელი თ... მენტის კრება განზრახულია მოიწვიონ სამშაბათს, 18 თებერვალს.

ფრაქციათა კრებაზე გამოცხადდა საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობაც ეხმარება პარლამენტის მოწვევის წინადადებას.

ინგლის-საქართველოს ინციდენტის ამოწურვა

სოხუმში ჯარის გაგზავნის შესახებ

ფოთიდან სოხუმში ქართულ ჯარის ზღვით გაგზავნის შესახებ მთავრობის განკარგულებაში ინგლისის ოფიცრის ჩარევის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ როგორც კი ინგლისის მისიამ თფილისში გაიგო ეს ამბავი, მაშინვე გასცა ბრძანება, რომ ქართული ჯარის გზავნა სოხუმში არ შეაჩერონ.

საქართველოს წარმომადგენელის დაბრუნება ბათუმში.

რადგანაც მთავრობამ სრულიათ დამაკმაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო ინგლისის მისიისგან საქართველოს წარმომადგენელი ბათუმში პოლკ. გედევანიშვილი, რომელიც ამას წინათ ინგლისის გენ. გუბერნატორმა არ მიიღო, ბათუმში დაბრუნდა და თანამდებობის აღსრულების გაგრძელებას შეუდგა.

ინგლისელების დახევა ჩოლოქიდან ქობულეთამდე.

ჩოლოქის ხიდთან ინგლისელ დარაჯის მიერ ჩვენი დარაჯის დაჭრის გარემოება ასეთი ყოფილა: ჩვენი დარაჯი წყალზე ჩასულა, ინგლისელმა დარაჯმა მოსთხოვა გაჩერებულიყო. რაკი ჩვენი დარაჯი არ გაჩერდა, დაიწყეს ურთიერთის ლანძღვა. ამას მოყვა თოფის სროლა, რის შემდეგ ორივე მხრით დაიწყო სროლა. ინგლისის მისიამ ამის შესახებ მწუხარება გამოსთქვა და ბრძანება გასცა, რომ ინგლისის მოდარაჯე რაზმმა ჩოლოქის ხიდიდან ქობულეთამდე დაიხიოს უკან.

სვანეთის საჭიროებანი.

სვანეთიდან თფილისს ეგნატე გაბლიანის მეთაურობით ჩამოვიდა ოცდა ოთხი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია. ზემო სვანეთის თითოეულ საზოგადოებას ორ ორი წარმომადგენელი ყავს ამ დელეგაციაში. დელეგაციაში 3—4 ინტელიგენტიც ურევია.

ენგურის ხეობიდან ჩამოსულ ამ მრავალრიცხოვან დელეგაციას დავალებული აქვს სვანეთის სახელით სალამი გადასცეს ნორჩი რესპუბლიკის მთავრობას და მის თავჯდომარეს, განათლების, იუსტიციის და სურსათის მინისტრებს შემდეგი სთხოვოს:

1. ვინაიდან მთავრობის სურვილია სვანეთისათვის იარაღის აყრა, ხოლო სვანეთს ძარცვითა და უფასოდ კი არ უშოვია, არამედ ნაყიდი აქვს იარაღი, ხაზინამ უნდა გაიღოს ჩამოსართმევ იარაღის მთელი თანხევარი ფასი მაინც, რომ დაზარალებული და გულ ნატკენი არავინ დარჩეს, რასაც შეუძლია უკმაყოფილება დაბადოს სვანეთში.

მთავრობამ უნდა იკისროს შემდეგში უიარაღო სვანების გარეშე მტერთაგან მოსალოდნელ თავდასხმისაგან უზრუნველყოფა.

2. რადგან მთავრობის საწინააღმდეგო შავრაზმელ გამოსვლას არა თუ ადგილი ჰქონია სვანეთში, პირიქით, ლეჩხუმში ბოლშევიკურ მოძრაობის ზურგიდან მოსალოდნელი მახვილის ჩამცემი სვანეთი იყო, ამისთვის თხოულობენ სვანები ეპატიოს მათ დღეის უკან ჩადენილი ის დანაშაული, რომელიც მიუძღვის მას მეზობლების გაძარცვაში. დაზარალებულ მეზობელ კუთხეებთან შერიგებას და ზარალის ანაზღაურებას თითონ სვანები იღებენ თავზე და მედიატორულ წესით მოაგვარებენ. ხოლო მთავრობამ კი თავის მხრივ კანონით და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესებული დანაშაული აპატიოს, რომ დამნაშავეებმა ეხლავე მთებს არ შეაფარონ თავი და ყაჩაღებად არ გადავარდნენ, რის შემდეგ სვანეთის განწმენდა და დაწყნარება, თუ შეუძლებელი არა, ყოველ შემთხვევაში საძნელო საქმე იქნება.

3. გაგზავნილ იქნენ სვანეთში ოფიცრები, დაევალოს მათ გაიწვიონ ადგილობრივ სვანები, გაწრთვნან და უხელმძღვანელონ მათ, რომ ჩრდილო კავკასიიდან შეუძლებელი შეიქნეს მტრის შემოსვლა საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში.

4. გაგზავნოს მთავრობამ კომისია, რომელიც გაეცნობა სვანეთს და აუხსნის ხალხს რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნილებას.

5. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მთავრობამ სვანეთში ხეირიან გზის გაყვანის საკითხს, რომ შეძლება ექნეს მას სვანები საქართველოს საერთო ჭირსა და ლხინში გამოიყენოს და არ დასტოვოს გულნატკენი ისე, როგორც ეხლა საქართველოსა და სომხეთის ომის დროს დარჩა (,,ვწუხვართ რომ გვიან გავიგეთ და მონაწილეობა ვერ მივიღეთ სომხების ქლეტაში'', ერთხმად მითხრეს ჩემმა ნაცნობმა სვანებმა)

6. გაიხსნას სვანეთში ერთი უმაღლეს დაწყებითი და ერთიც სამეურნეო სასწავლებელი. არსებულების გარდა დაწესდეს კიდევ ორ ადგილას საფერშლო პუნქტები და მოეწყოს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება სვანეთში.

7. ტანთ-საცმლისა და სურსათის უქონლობის გამო სვანების გაჭირვებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მომავალში ასეთი მდგომარეობა მკაცრ ბუნების შვილებს დაღუპვას უქადის, რისთვისაც სვანები სთხოვენ მთავრობას, შეღავათიან ფასებში (და თუ შესაძლებელია ნისიადაც) დაეთმოთ მათ შეკერილი ტანსაცმელი, მარილი, ფქვილი, შაქარი და სხვა.

ჩვენს მთავრობას მართებს განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრას ჩვენი ძმების, სვანების, თუნდაც ასეთ ორგინალურ თხოვნებს. ,,ს. ს.''

არჩევნების გ რუშმო.

არჩევნები ბორჩალოში

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის რწმუნებული სირბილაძე ბორჩალოდან იუწყება, რომ ამომრჩეველთა სიების შედგენას უკვე შეუდგნენ და არჩევნები მალე მოხდება.

საარჩევნო ,,ფანდი''

თებერვლის 12 ამომრჩეველმა ბერძნიშვილმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადა რომ მის ბინაზე (ელისაბედის ქ. № 106) მის სახლში არ ყოფნის დროს მისულა 2 გიმნაზიელი, მოტყუებით გამოურთმევიათ პირადობის ქაღალდი და კონვერტი, ჩაუდვიათ შიგ ბიულეტინი № 5, სოც.-ფედერალისტებისა, დაუბეჭდიათ კონვერტი და ისე დაუბრუნებიათ. ამნაირათვე გამოურთმევიათ კონვერტები და ბიულეტენი № 5 ჩაუდვიათ, იქ მცხოვრებ 4 სხვა ოჯახისთვის. მიღებულია ზომები დამნაშავეთა შესაპყრობათ, რათა სამართალში მისცენ ისინი.

უცხოეთის ამბები

ტელეგრამები.

საქართველოს სააგენტოსი.

ებერტის არჩევა გერმანიის პრეზიდენტად

გერმანიის დამფუძნებელმა კრებამ 10 თებერვალს ხმის დიდი უმრავლესობით გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკის პრეზიდენტათ აირჩია ებერტი. დამფუძნებელ კრების თავჯდომარე დავიდი კენჭის ყრის შედეგის გამოქვეყნების შემდეგ მიესალმა ებერტს, როგორც ხალხის მიერ არჩეულს.

მოკავშირენი და საბჭოთა მთავრობა

მოსკოვი. თებ. 11. სრულიათ რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე ჩიჩერინმა მოხსენება გააკეთა პრინცის კუნძულზე საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა მიწვევის გამო შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობაზე. მან აღნიშნა, რომ შეთანხმების ქვეყნებში არსებობს რეალურ პოლიტიკის ტენდენცია ეკონომიურ საქონლის გაცვლა-გამოცვლაში რუსეთის ჩასაბმელათ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ნედლი მასალის არ მქონე კაპიტალიზმისთვის. არის მეორე ტენდენცია, ფრანგული, რომელიც მოითხოვს ბოლშევიკების განადგურებას, რომ თვითონ არ მიადგეს ზიანი ბოლშევიკებისაგან. ამის გამო ჩვენ მიერ გაგზავნილ ნოტაში გარკვევით შევთავაზეთ დათმობა.

მთიელთა სახალხო არმიის შედგენა

კავკავი, თებერ. 4 თერგის რესპუბლიკის მშრომელ ხალხთა სესიის ყრილობა დასრულდა. სამხრეთ რუსეთის განსაკუთრებულმა კომისარმა ორჯონიკიძემ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ვერცერთი მტერი კომუნისტებისა ვერ შემოვა რესპუბლიკაში. დამოუკიდებელ მთიელებმა კონტრრევოლიუციასთან საბრძოლველათ შეადგინეს სახალხო არმია.

აჯანყებები ციმბირში

უფა 8 თებ. ნოვო-ტროიცკოეში აჯანყდა სახალხო არმიის 2 პოლკი. აჯანყება მიტინგით დაიწყო. ჯარისკაცებმა დაყარეს იარაღი და ოფიცრებს პაგონები ააცალეს. სახალხო არმიის დასამშვიდებლათ გაიგზავნა 2 ჯავშნიანი მატარებელი, ოფიცერთა რაზმი ტყვიის მფრქვეველებით და ყაზალთა პოლკი. ამ შემთხვევის გამო ბოლშევიკებმა დაიჭირეს კანგარკა და ტროიცკოენისეიის გუბერნიაში მუშათა და გლეხთა აჯანყება დაიწყო. დამსჯელი რაზმი. რომელიც კოლჩაკის შტაბმა გაგზავნა დეზერტირების დასაჭერათ, უწესოებას ახდენს.

ეროვნული მოძრაობა ირლანდიაში

ბერლინი თებ. 5 როტერდამიდან იუწყებიან, რომ გლასგო 10,000 ჯარისკაცმა დაიჭირა.

რუმინიის გამოთიშვა მოკავშირეთაგან

ლუგანო თებ. 5 ,,სოკოლოს'' კორესპონდენტი ირწმუნება, რომ რუმინიასა და მოკავშირეთა შორის შესწყდა კავშირი. მიზეზი ისაა, რომ რუმინიამ ვერ მიიღო დაპირებული ბანატი. რუმინია კომპენსაციის სახით მიიღებს დობრუჯას. ბულგარეთის მაკედონიას სერბიას გადასცემენ. ამ გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია რუმინიის მთავრობის სფეროებში.

ფრანგების მიერ ზავის დარღვევა

ნაუენი 2 თებ. ფრანგების ჯარების მიერ დროებითი ზავის პირობების დარღვევის გამო, გერმანიის დელეგაციამ გადასცა საფრანგეთის წარმომადგენელს ნოტა. რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანია იტოვებს უფლებას მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება. ნუდანმა უარი განაცხადა ნოტის მიღებაზე სანამ ნოტას ზრდილობიანათ არ შეადგენენ.

მონარქისტული პროპაგანდა გერმანიაში.

დამოუკიდებელთა ორგანო ,,ფრეიცეიტი'' იუწყება, რომ ჰინდენბურგის ბანაკში ამ ჟამათ იწყება პროპაგანდა მონარქიის სასარგებლოთ.

სპარტაკელთა ახალი გამოსვლა ბერლინში.

კარნაფონი 10 თებ. შაბათს ბერლინში დიდი უწესოება მოხდა სპარტაკელების ხელმძღვანელობით. მეზღვაურებმა და ჯარისკაცებმა, პოლიციის ყოფილ უფროსის ეიხგორნის ხელმძღვანელობით, დაიჭირეს ალექსანდრეს მოედანი. მთავრობის ჯარმა მათ სროლა აუტეხა. მოკლულია 8, დაჭრილია 40. გერმანიის ცენზურა არ უშვებს დაწვრილებითი ცნობებს. ტილზიტი, თებ. 3. ,,ცაიტუნგი'' იუწყება, რომ სპარტაკელების მიერ შეწყვეტილია ტელეფონის მუშაობა ვეიმარის და ეიზენახის შუა.

საქართველოს ეროვნული პარტიის

საარჩევნო პლატფორმა.

მამულიშვილნო!

ეროვნული პარტიის ლოზუნგია ,,საქართველო ჯერ ქართველებისათვის''!

საქართველომ უნდა მოიპოვოს თავისი ისტორიული საზღვრები.

ეროვნული პარტია იცავს მტკიცედ კ ე რ ძ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს ხელუხლებლობას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

— —

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მ ი წ ი ს ს ა კ ი თ ხ ი გარდაწყდეს სახელმწიფო, და არა ყაჩაღური წესით.

— —

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მ ა მ უ ლ ი ს ჩ ა მ ო რ თ მ ე ვ ა მოხდეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა ეს საჭიროა სახელმწიფო მოსაზრებით (ქართველ გლეხობის დასახლებისათვის).

— —

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ს ა ე რ თ ო მ ი წ ი ს მფლობელობისა გადიდებულ იქმნას ყოველგან ადგილობრივი პირობების მიხედვით

— —

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ჩამორთმეულ მიწაში მამულის პატრონს მიეცეს მისი ფ ა ს ი.

— —

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნებადართული იქმნას მ ი წ ე ბ ი ს კერძოდ ყ ი დ ვ ა - გ ა ყ ი დ ვ ა (ქართველებისთვის)

— —

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ უ ც ხ ო ე ლ ე ბ ს (ო ს ე ბ ს ს ო მ ხ ე ბ ს, რ უ ს ე ბ ს) ა ე კ რ ძ ა ლ ო ს მ ი წ ი ს შეძენა საქართველოში სანამ არ დაკმაყოფილდება ქართველი გლეხობის საჭიროება (თავდაპირველად მიწა უნდა მიეცეს ჯარში ნამსახურ ქართველებს)

— —

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მოსპობილ იქნას მონოპოლისტებისა და სპეკულიანტების პრივილეგიები და ქართველ ვ ა ჭ ა რ-მ რ ე წ ვ ე ლ ს საშუალება მიეცეს წესიერად აწარმოვოს თავისი საქმე.

— —

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაუყონებლივ მოხდეს სრული ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ც ი ა ყველა დაწესებულებათა (თავდაპირველად ტფილისის ქალაქის თვითმართველობისა) და თანამდებობანი, რომელიც უცხოელებს აქვთ დაკავებული, გადაეცეს ქართველ მოხელეებს.

— —

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ საქართველოს დასაცავად მოეწყოს ერთი, მთლიანი სამხედრო ძალა—მუდმივი რ ე გ უ ლ ი ა რ უ ლ ი ჯ ა რ ი; ყოველივე სხვა გვარი პარტიული რაზმები და გვარდია უნდა გაუქმდეს.

— —

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაცული იქნას ე კ ლ ე ს ი ი ს ა და ს ა მ ღ ვ დ ე ლ ო ე ბ ი ს ქონებრივი დოვლათი და მთავრობა მეტის პატივის ცემით მოეპყრა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს.

— —

მ ა მ უ ლ ი შ ვ ი ლ ნ ო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც ერთ ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ პარტიას: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), ფედერალისტები, რევოლიუციონერები ყველა ბოლშევიკური ჯურის ხალხია და სულ სხვისი საკუთრების წართმევაზე ფიქრობენ; ჯერ სოფელს მოარჩებიან, მერმე ქალაქის მესაკუთრეს მისდგებიან!

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც № 2-ს ,,ე რ ო ვ ნ უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ს'' (გაზეთ ,,საქართველოს'') არც რ ა დ ი კ ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ს და არც უ პ ა რ ტ ი ო დამოუკიდებლებს ესენი ყველა მენშევიკების მაჩანჩალა პარტიებია, ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამა მათ არა სწამთ და ამიტომაც ხელი მოაწერეს ნ. ხომერიკის მიწის კანონებს.

მამულიშვილნო. მხოლოდ, ,,საქართველოს ეროვნული პარტია,, დაიცავს მტკიცედ, ისე რ ო გ ო რ ც ,,კ ლ დ ე'' სახელმწიფოებრივ პროგრამას.

ჩ ვ ე ნ ი ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი

დამფუძნებელი კრების არჩევნებში

ასეთია

ხმას ვაძლევ „საქართველოს ეროვნულ პარტიის." სიას

№ 8

1. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე;
2. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე;
3. **ვაჩნაძე** დავით ვლადიმერის ძე;
4. **გაბაშვილი** რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე;
5. **მაჩაბელი** მიხეილ ვახტანგის ძე;
6. **ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე;
7. **ცაგარელი** ალექსანდრე ანტონის ძე;
8. **სარაჯიშვილი** ალექსანდრე თედორეს ძე;
9. **გაბაშვილი** ნიკოლოზ სოლომონის ძე;
10. **ორბელიანი** გიორგი ილიას ძე;
11. **ჯანდიერი** ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე;
12. **ელიაშვილი** ივანე სპირიდონის ძე;
13. **კაპანელი** (ჭანტურაია) კონსტანტინე გრიგოლის ძე;
14. **ეკალაძე** ია. (ცინცაძე) იაკობ თომას ძე;
15. **ლოლობერიძე** დავით სიმონის ძე;
16. **კელენჯერიძე** დავით ბესარიონის ძე;
17. **ციციშვილი** ივანე გიორგის ძე;
18. **იმხნელი** მიხეილ ნიკოლოზის ძე;
19. **ლუდუშაური** ბართლომე;
20. **ივანიცკი** ტარასი;
21. **მამრაძე** გიორგი გრიგოლის ძე;
22. **სიდამონ-ერისთავი** ვალერიან;
23. **ნიჟარაძე** რაფაელ;
24. **კიკაბიძე** ლადო სპირიდონის ძე;
25. **ქასრაშვილი** ქსენეფონე ნიკოლოზის ძე;

ხმის მიცემის წესი.

ვისაც საპირადო ბარათი არ მოსვლია უნდა მივიდეს თავის საარჩევნო უბანში (იქ სადაც ხმა მისცა საქალაქო არჩევნების დროს) მოანახოს თავისი თავი სიაში და მიიღოს ბარათი.

ვისაც საქალაქო არჩევნებში ხმა არ მიუცია და არც საპირადო ბარათი მიუღია, მაინც უნდა მოიკითხოს თავისი საპირადო ბარათი და ხმა არ დაკარგოს.

კონვერტების მიღება შეიძლება მხოლოდ საარჩევნო ყუთთან.

კონვერტში უნდა ჩაიდოს მხოლოდ ერთი ცალი ბიულეტენისა—საკანდიდატო სიისა № 8 (ქალაქის არჩევნების დროის ბიულეტენები (ნომრები) არ გამოდგება); ბიულეტენზე არაფერის დაწერა არ შეიძლება, რომელიმე კანდიდატის გვარის ხაზგასმა, გამოკლება, ან დამატება აკრძალულია კანონით და ასეთ ხმას სულ არ ჩათვლიან.

ბიულეტენები ეროვნულ პარტიისა № 8 ურიგდება ყოველ მკითხველს „კლდის" დღევანდელ ნომერთან ერთად.

ვისაც ბიულეტენები დააკლდება ანდა რაიმე ცნობების არ განმარტების მიღება დასჭირდება უნდა მიმართოს ეროვნული პარტიის საარჩევნო ბიუროში 1) „კლდის" **რედაქციაში**—(ქართულ კლუბთან(—ტელ. 18—31. 2) ყოფ. **საჩაე „ორიონში"** ბელინსკისა და ოლოლის ქუჩის კუთხეში.

ყოველი წევრი და თანამოაზრე ჩვენი პარტიისა უნდა გამოცხადდეს თავის პარტიულ ორგანიზაციაში და მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო მუშაობაში. ქალაქ თფილისში მცხოვრები წევრნი და თანამოაზრენი უნდა გამოცხადდენ მთავარი საარჩევნო კომიტეტის ბინაზე („კლდის" რედაქციასთან) სასახლის ქუჩაზე, ქართულ კლუბთან.

ტელ. № 18—31.

პროვინციაში მიმავალ თანამოაზრეთ ვთხოვთ შემოვიდნენ საარჩევნო ბიუროში („კლდის" რედაქციასთან) და წაიღონ თან პარტიული ლიტერატურა და ბიულეტენები.

ტელ. № 18—31.

ქართველ მებრძოლთ!

ქართველთა ლეგიონი

იწვევს მოხალისეებს ახალციხეში მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად!

მამულიშვილნო, ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა!

მოიყარეთ თაკი ლეგიონის დროშის ქვეშ!

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა.

მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

ლეგიონის სარდალი **ლეო კერესელიძე.**

ყოველ-დღიური

სალი

კლდე

გაზეთი

გამოდის **გრიგოლ ვეშაპელის** რედაქტორობით

გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი,

ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სასახლის ქ. № 6

ტელეფონი № 18—31.

დამფუძნებელ კრების მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისიისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილისის მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისია აცხადებს ყველთაოდ, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მოხდება ამა წლის **14, 15** და **16** თებერვალს დილის 9 საათიდან, საღამოს 9 საათამდე შემდეგ ადგილებში:

1-ელ კომისარიატში.

1 საარ. უბანი—ქართულ უნივერსიტეტის შენობაში ვაკე.
2 „ „ საბურთალოს თეატრში.
3 „ „ ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში, ოლოლას ქ. სახ. მაჩაბლისა, № 52. კირპიჩნის შესახ.
4 „ „ პირველ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.
5 „ „ სამიწათმზომელო სასწავლებელში, გუნიბის ქუჩაზე.
6 „ „ მეოთხე ქალთა გიმნაზია, ანასტასიას ქ. 23.

2-ე კომისარიატში

7 „ „ მინიატურის თეატრში, ს. მელიქ-აზარიანცისა, ვერის დაღ.
8 „ „ არტისტულ საზოგადოების დარბაზში, გოლოვინის პრ.
9 „ „ ღარიბთა თავშესაფარში, ზუბალაშვილის სახლი სასამართ. ქ.48
10 „ „ თფილისის საოლქო სასამართლოს შენობაში.

3-მე კომისარიატში.

11 „ „ პირველ ვაჟთა გიმნაზიაში. გოლოვინის პროსპექტი.
12 „ „ სამოქალაქო სასწავლებელში, ს. აფრიკიანისა. ბებუთოვის ქ.
13 „ „ სავაჭრო სასწავლებელში, სახლი მანთაშევისა. ბებუთოვის ქ.

4-ე კომისარიატში.

14 „ „ სახელოსნო გამგეობაში. სალდათის ბაზარი.
15 „ „ მანთაშევის ქარვასლაში, სომხის ბაზარი № 62.
16 „ „ სომხების საქველმოქმედო საზოგადოების დარბაზში. აბასაბადის მოედანზე.

5-ე კომისარიატში.

17 „ „ მაჰმადიანთა აუდიტორიაში, ბოტანიკურ ქუჩაზედ.
18 „ „ პუშკინის საქალაქო სკოლაში, ვორონცოვის ქუჩაზედ. არბუზის მოედანი.
19 „ „ ტოლლეს ქარხნის კონტორაში, ვორონცოვის ქუჩაზედ.

6-ე კომისარიატში.

20 „ „ ნადეჟდინის თავშესაფარის შენობაში, რეიტერის ქუჩაზედ.
21 „ „ ქალაქის ახალ სასაკლაოს კანტორაში.
22 „ „ ძმათა ტ. აბრამოვების ნავთის ამხ. კანტორაში, კახეთ. ქ.
23 „ „ სამინისტროს სკოლაში, კახეთის ქ. № 46.
24 „ „ მურაშკოს თეატრში, თელავის ქუჩაზედ
25 „ „ ცარიელ დუქანში, კახეთის ქუჩაზედ, სადაც იმყოფება მოსამსახურეთა ეკონომ. საზოგადოების განყოფილება.

7-ე კომისარიატში.

26 „ „ არაკსიანის თეატრში. კონსტანტინეს ქუჩა 11.
27 მეხუთე ვაჟთა ავლაბრის გიმნაზიაში. პეტრე პავლეს ქუჩა.
28 „ „ ცარიელ მაღაზიაში. კუთხე ლაზარევისა და ხივის შესახ. მანუკოვისა № 57.
29 „ „ მარინეს საეკლესიო სკოლაში.
30 „ „ ავლაბრის კლუბის ზამთრის შენობაში, კახეთის ქუჩა.

8-ე კომისარიატში

31 „ „ ალტმანის სახლში, კუთხე პროექტიროვანის და კახეთის ქქ.
32 „ „ მალაკნების საზოგადოების სკოლაში, დესიმონოვის მოედ.
33 „ „ მე-4 მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში. სურფმინასის აღმართი.
34 „ „ პირველ კომერციულ სასწავლებელში, 19 თებერვლის ქ.

9-ე კომისარიატში.

35 „ „ პეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29.
36 „ „ მუშათა კლუბში, ერთობის უბანი.
37 „ „ მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილ. ტურგენევის ქ.
38 „ „ კათოლიკურ საეკლესიო სკოლაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ. 59
39 „ „ სახელოსნო კლუბის შენობაში, მიხეილის პრ.

10-ე კომისარიატში

40 „ „ ავჭალის აუდიტორიაში.
41 „ „ ენფენჯიანცის თამბაქოს ქარხნის კანტორაში, ვოგზლის ქ. 8
42 „ „ 2 ქართულ კლუბში (ყოფ. ხარფუხის კლუბი) მიხეილის პრ.
43 „ „ ზუბალაშვილის სახალხო სახლში. კიროჩნი ქუჩაზედ.

11-ე კომისარიატში

44 „ „ საკვირაო სკოლაში, კუთხე ჩერქეზიშვილისა და პავლოვსკ. ქ.
45 „ „ სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშილის ქუჩა, ს. ბოტტასი.
46 „ „ ნაძალადევის თეატრში, ჩერქეზიშვილის ქუჩაზედ.
47 „ „ სასურსათო დუქანში ს. მეტეხელის. ლოდკის ქ. 24.

12-ე კომისარიატში

48 „ „ რკინის გზის სამოქ. სასწავლებელში, შერემეტევის ქ. მხრით
49 „ „ რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებელში, დემოკრატიულ კლუბში.
50 „ „ ყოფ. საჯირითო მოედნის კანტორა. მუშტაიდი.
51 „ „ ავჭალის წყალ-სადენი.
52 „ „ კოლონია აღევსანდერსდორფი.

საარჩევნო კომისია **კ ი დ ე ვ ერ თ ხ ე ლ მ ო გ ა გ ო ნ ებ ს თ** მოქალაქეთ, რომ ვისაც პირადობის ბარათი არ მიუღია და სიაში კი არის შეტანილი, უნდა მოითხოვოს ყუთთან თავისთვის საარჩევნო უბანში არჩევნების დღეებში.

საქალაქო საარჩევნო კომისია